ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/159

ქ. თბილისი 31. 07. 2012

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების II თავის მე-5 მუხლის, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს მიღება 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" მაგისტრატურაში შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

1.1.1. საქართველოს ისტორია	(5 ადგილი)
1.1.2. არქეოლოგია	(5 ადგილი)
1.1.3. ეთნოლოგია	(5 ადგილი)
1.1.4. კავკასიის ისტორიული დემოგრაფია	(5 ადგილი)
1.1.5. ქართული ლიტერატურის ისტორია	(5 ადგილი)
1.1.6. ენათმეცნიერება	(5 ადგილი)
1.1.7. სოციოლინგვისტიკა	(5 ადგილი)
1.1.8. თარგმანმცოდნეობა	(5 ადგილი)
1.1.9. ხელნაწერთმცოდნეობა	(5 ადგილი)

1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლა (ფაკულტეტი)

1.2.1. ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) (10 ადგილი)

1.2.2. ეკონომიკა (10 ადგილი)

1.3 ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

1.3.1 ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირება (10 ადგილი)

1.3.2 მათემატიკა (5 ადგილი)

1.3.3 გეოფიზიკა (5 ადგილი)

1.3.4 მცენარეთა ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია (5 ადგილი)

1.3.5 ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა (7 ადგილი)

1.3.6 ნეირობიოლოგია (5 ადგილი)

1.3.7 ზოგადი ეკოლოგია (5 ადგილი)

1.4. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლა (ფაკულტეტი)

1.4.1. ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება (7 ადგილი)

2. 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურაში მიღების განსახორციელებლად განისაზღვროს შემდეგი ვადები:

2.1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია – 20 აგვისტო – 10 სექტემბერი

2.2. გამოცდა სპეციალობაში – 11 სექტემბერი

2.3. გამოცდის შედეგების გამოცხადება – 12 სექტემბერი

2.4. გამოცდის შედეგების გასაჩივრება – 12 -13 სექტემბერი

2.5. აპელაციის შედეგების გამოცხადება – 14 სექტემბერი

2.6. ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 12 - 15 სექტემბერი

2.7. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 17 სექტემბერი

3. განისაზღვროს მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის რეგისტრაციისას წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

3.1. განცხადება რექტორის სახელზე

3.2. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების სერტიფიკატი/ცნობა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შესახებ – დედანი;

3.3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, (*2012 წლის კურსდამთავრებულებმა - ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ*);

3.4. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი (არსებობის შემთხვევაში);

3.5. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;

3.6. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – დედანი და ასლი;\

3.7. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა (ვაჟებმა) დედანი და ასლი;

3.8. ორი ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიითურთ CD-ზე;

3.9. სტუდენტის ანკეტა (CV) შემოთავაზებული ფორმით

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე